



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თვალადი

თვალადი, სოფელი კასპის მუნიციპალიტეტის კავთისხევის თემში (შიდა ქართლის რეგიონი) მდ. კავთურის (მტკვრის მარჯვ. შენაკადი) ხეობაში. ზ. დ. 780 მ კასპიდან 14 კმ. 489 მცხ. (2014).

თ. იხსენიება ვახუშტი ბატონიშვილთან (XVIII ს.) თვალის სახელწოდებით: „თვალის სასახლე მეფეთა, ნეშენობა დიდი“. ფეოდალ. ხანაში თ-ში ქართლის მეფეთა საზღვრულ სამყოფი იყო. სოფელსა და მის მიდამოებში ქართ. ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლია. სოფელში, ბორცვზე, აღმართულია გვიანდ. შუა საუკუნეების კავთის ღვთისმშობლის ერთნავიანი ეკლესია. მისგან დაახლ. 5 კმ-ზე, გორაკზე, დგას XIX ს. კავთის წმ. გიორგის ეკლესია; შუა სოფელში, ფერდობზე – XIX ს. სამების ერთნავიანი ეკლესია. ონოფრიანთ უბანში კი – XIX ს. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია; მექანარიანთ უბანში, ამაღლებულ ადგილზე, აღმართულია გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ხალხი ამ ადგილს მეფის ნასახლარს უწოდებს და ქართლის მეფე როსტომის (1632–58) სახელს უკავშირებს. ნამოსახლარის უკან (ძღვევის ქედზე) გვიანდ. შუა საუკუნეების ძღვევის ქედის წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესიაა. თავდაპირველად ეს იყო მცირე ზომის ნაგებობა, რ-საც XIX ს-ში დასავლეთიდან თითქმის მისივე მოცულობის სათავსი მიაშენეს. სამხრ. მინაშენი კიდევ უფრო გვიანდელია.

სოფელში დგას ნ. ცხვედაძისა და გ. შატერაშვილის სახლ-მუზეუმები.

წყარო და ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., კავთურას ხეობა, თბ., 1960; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

ჟ. გვასალია

ბ. კალმახელიძე
